MES 7 22 0000369370

08/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.03.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:32სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ანა ლელაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეონა ხუფენია	**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**	რექტორი	**I**
2	ბელა მოსია			**I**

			უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
3	გელა სვირავა		„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
4	მაია გონაშვილი		„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	**I**
5	ნინო მაქაცარია		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
6	ნინო ქიმერიძე	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	**II, III, IV, V**
7	თამარ ჭელიძე		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	**II, III, IV, V**
8	ელენე კაცაძე		ქიმიის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ასისტენტ პროფესორი	**II, III, IV, V**
9	იოსებ ჩიკვაიძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**II, III, IV, V**
10	ნინო თაყაიშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი	**II, III, IV, V**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV, V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.01.2021 გადაწყვეტილება №26047
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჯანაშიას ქ. №14, ზუგდიდი, 2100, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, თეა კასრაძემ, განაცხადა, რომ 2021 წლის 25 იანვარს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. საბჭოს გადაწყვეტილებით:

- პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭომ ძალაში დატოვა ექსპერტთა ჯგუფის მეირ გაცემული რეკომენდაციები და დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მხრიდან დასტურდებოდა მზაობა რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. ანგარიშში ასახულია, რომ დაწესებულებამ განახორციელა სამუშაოები და მაქსიმალურად გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, განაცხადა, რომ გაეცნო წარმოდგენილ დასკვნას, სადაც აღნიშნული იყო, რომ პროგრამის ფარგლებში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოების მიზნით დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ახალი მემორანდუმები სხვადასხვა

საწარმოსთან/ორგანიზაციასთან. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაესახელებინათ აღნიშნული საწარმოები/ორგანიზაციები და დაეზუსტებინათ თუ რა სახის აქტივობები იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.
საბჭოს წევრის, ირინა ლობჟანიძის, განაცხადებით, მან დასკვნაში წაიკითხა, რომ დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მოდიფიცირებაში, რის საფუძველზეც შესრულდა გაცემული რეკომენდაცია, დაინტერესდა თუ რა სახით გამოვლინდა აღნიშნული მონაწილეობა, რა ტიპის რჩევას აძლევდნენ დაწესებულებას დამსაქმებლები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის მიხედვით პირველ სემესტრში შეთავაზებულია „აკადემიურ წერა“, ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ინგლისურენოვან დისციპლინას დაშვების წინაპირობად აქვს განსაზღვრული B2 დონე. დაინტერესდა თუ როდის ასწავლის დაწესებულება სტუდენტებს B2 დონის ინგლისურს და რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნიათ პირველ სემესტრში ინგლისური ენის B2 დონის განსაზღვრა წინაპირობად.
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის, განცხადებით ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის „სტარტაპის“ შინაარსის გადახედვას, ლიტერატურის გადახედვასა და სამოყვარულო ლიტერატურის ნაცვლად დარგობრივი სახელმძღვანელო რესურსით უზრუნველყოფას, დაინტერესდა თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, თეა კასრაძემ, დამსაქმებლების მხრიდან მეტი ჩართულობის შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნული დასტურდებოდა სხდომის ოქმებით, რომლებზეც მიმდინარეობდა რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ საუბარი და მონაწილეობას ღებულობდნენ დამსაქმებლებიც, გაფორმებულ იქნა ახალი მემორანდუმები, აკრედიტაციის პროცესში თვითონაც იყო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში და მისი ინფორმაციით დამსაქმებლები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში გაწერილიყო მეტი პრაქტიკული სამუშაო და უცხო ენა. დაწესებულება ასწავლის უცხო ენას, რომლებთან დაკავშირებული რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ. აქედან გამომდინარე ექსპერტმა მიიჩნია, რომ დამსაქმებელი ჩართული იყო და მონაწილეობდა რეკომენდაციების შესრულების პროცესში.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, დააზუსტა, გულისხმობდა თუ არა ექსპერტი, რომ აღნიშნული დასკვნა გამოიტანა მემორანდუმებზე დაყრდნობით.
ექსპერტმა, თეა კასრაძემ, განმარტა, რომ საუბარი იყო არა მხოლოდ მემორანდუმებზე, არამედ პროცესებში მონაწილეობაზეც, რაც დასტურდებოდა ოქმებით, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ დამსაქმებლები. ექსპერტმა დასძინა, რომ მას მხოლოდ დაწესებულების მიერ გაზიარებულ მასალებზე დაყრდნობით შეეძლო მსჯელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორი, თეონა ხუფენია მიესალმა ექსპერტს და საბჭოს წევრებს, მან პრაქტიკის ობიექტების შესახებ განმარტა, რომ საერთო ჯამში რეკომენდაცია მიღებული იყო პრაქტიკული კომპონენტების/დამსაქმებლების რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით, მას შეეძლო დაესახელებინა ექვსი დამსაქმებელი, რომლებიც დაემატნენ აკრედიტაციის პროცესში არსებულ მემორანდუმებს, გაიზარდა სფეროები, წარმოდგენილია: სავაჭრო, სამშენებლო და სხვა მიმართულებები. მისი განმარტებით, ბაზარი ითხოვს განსხვავებულ კომპეტენციებს, ვინაიდან სამეწარმეო განათლების კომპონენტი მეტად წინ წამოვიდა საუნივერსიტეტო მესამე მისიასთან კავშირში, შესაბამისად დამსაქმებელთა ინტერესიც დიდია უნივერისტეტთან თანამშრომლობის მიმართ, რაც ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტების/უნარების გაზრდას და ასახულია სასწავლო კურსებში. იგი იყო სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, სადაც ორმა დამსაქმებელმა ერთ თემაზე გაამახვილა ყურადღება, საუბარი იყო ისეთი სასწავლო

კურსის აუცილებლობაზე, რომლის გავლის გარეშეც დაწესებულებას სტუდენტი პრაქტიკაზე არ უნდა გაეშვა. რეგიონში გაზრდილი/გამრავალფეროვნებულია დამსაქმებელთა არეალი სფეროების მიხედვით, ანგარიშშიც კარგად ჩანს, რომ ბევრი ახალი წამოწყება განხორციელდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სამეწარმეო ნაწილში მერიასთან და მუნიციპალიტეტთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში, გასტრონომიის აკადემიის ჩამოყალიბებას (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ), რაც კულტურის კომპონენტთან ერთად გულისხმობს სამეწარმეო განათლების დანერგვას, უწყვეტი განათლების სივრცეში, თუმცა მთავარი გზავნილი იქნება „ბიზნესის ადმინისტრირების“ სტუდენტებისთვის.

აკადემიური წერის შესახებ დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ სილაბუსი შემუშავებულია დაწესებულების მიერ, ინტეგრიტის პროექტის ფარგლებში. პლაგიატის თემით კი წარმოდგენილია, ყველა ის ტექნოლოგია, შესაძლებლობები, ცოდნა და შედეგი, რომელიც ჩადებულია სილაბუსში, რაც შეეხება ენას, სავალდებულო არ არის, რომ სტუდენტმა გაიაროს ინგლისურენოვანი აკადემიური წერა, ვინაიდან საერთაშორისო პროექტის ფარგლებში შემუშავდა აღნიშნული სასწავლო კურსი, ინგლისურადაც მომზადდა სილაბუსი, ვისაც სურვილი ექნება და ფლობს უცხო ენის B2 დონეს აქვს შესაძლებელია გაიაროს „აკადემიური წერა“ ინგლისურად, ეს არის არჩევითი სასწავლო კურსი და არა სავალდებულო.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გელა სვირავამ, სტარტაპის ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მითითებული სახელმძღვანელო იყო სამოყვარულო, თუმცა დაწესებულებამ დაურთო ტეხასის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამა, სადაც იმავე საგანში მხოლოდ აღნიშნული სახელმძღვანელო იყო მითითებული, მაგრამ ვინაიდან საბჭომ გასცა რეკომენდაცია, მათ დაამატეს 2021 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც სტარტაპს ეხება და ამის შესაბამისად მოახერხეს გარკვეულწილად მოდერნიზაცია და რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული.

„ბენჩმარკინგის“ შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გაეცნენ შესაბამისი პროგრამის სილაბუსებს, მხედველობაში ჰქონდათ ოქსფორდისა და სხვა წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამები, მაგრამ ვინაიდან საუბარია რეგიონალურ უნივერსიტეტზე, მისაღებად ჩათვალეს ვალენსიისა და ტარტუს უნივერსიტეტების პროგრამების დადარება, მათი მოსაზრებით სასწავლო კურსების 70%, რაც ვალენსიის უნივერსიტეტშია, გათვალისწინებულია განსახილველ პროგრამაში.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია გონაშვილმა, განაცხადა, რომ რადგან რეკომენდაციაში „ბენჩმარკინგის“ მეთოდის გამოყენებაზე იყო საუბარი, მისი მოსაზრებით, შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტი დანართის სახით არ ერთვოდა ანგარიშის ფორმას, თუმცა დოკუმენტი შემუშავდა და სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა გარკვეული დასკვნების გაკეთება. დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია „ბენჩმარკინგი“, შესაძლებელია განიხილოს, როგორც შეფასების და ასევე, შედარების კუთხით, რომ ნახონ თუ რა გამოცდილება აქვთ უნივერსიტეტებს და სწორედ დადარების შედეგია განსხვავება, რაც იყო ტარტუს (5 საგანი) და ვალენსიის (10 საგანი) უნივერსიტეტებს შორის გამოწვეული იყო მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგ., ვალენსიის უნივერსიტეტი განიხილავდა ესპანეთის ეკონომიკას, ესპანეთის საგადასახადო რეგულირების სისტემას, ევროკავშირის რეგულირების სისტემას, შრომის ეკონომიკასა და სავაჭრო კავშირების სამართალს, ძირითადად ასეთი თემები იყო, რომელიც ამჟამად საქართველოს უნივერსიტეტებშიც არ არის მოცემული ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, თუმცა პროგრამა ვითარდება და ხორციელდება სტუდენტთა მობილობა, შესაძლებელია მომზადდეს არჩევითი კურსები და მოხდეს მათი პროგრამაში გაწერა. რაც შეეხება ტარტუს უნივერსიტეტს, ერთ-ერთი ცნობილი უნივერსიტეტია, სადაც საქართველოდან Erasmus-ით პროგრამით ბევრი სტუდენტი მიდის, მათ

შორის ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებითაც. მოცემული პროგრამა ბევრად უფრო გავდა დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას, რადგან ძირითადი განსხვავება იყო ესტონურ ენასთან, სოციალურ მეწარმეობასთან, ინვესტიციებსა და ეკონომიკის რაოდენობრივ თეორიებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა სწორედ ეს განსხვავებები შეისწავლეს და გააკეთეს გარკვეული ანალიზი, თავდაპირველად საგნების დაახლოებით 67% ემთხვეოდა, რეკომენდაციების გაცემის შემდეგ კი დაამატეს გარკეული საგნები, მათ შორის „გაყიდვების მართვა“ და ა.შ., რის შედეგადაც მოიმატა აღნიშნულმა მაჩვენებელმა და თითქმის ძირითადი სავალდებულო და არჩევითი საგნები ერთმანეთის მსგავსი გახდა და პროცენტულადაც საკმაოდ დაუახლოვდა ერთმაენთს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა თუ რა იყო ტარტუსა და ვალენსიის უნივერსიტეტის შერჩევის საფუძველი, შეირჩა, როგორც საუკეთესო გამოცდილების მქონე უნივერსიტეტები, თუ გარკვეული მემორანდუმები და პარტნიორობა აქვს უნივერსიტეტს და სწორედ ეს იყო შერჩევის მოტივაცია. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელთა პოზიცია სტარტაპის სასწავლო კურსთან დაკავშირებით გასაგებია, თუმცა თუ საუბარია კლასიკური სახელმძღვანელოს დამატებაზე, რაც ექსპერტს ჰქონდა აღნიშნული რეკომენდაციაში, მაშინ ბილ ოლეტის ქართულენოვანი სახელმძღვანელო „გამართული ანტრეპრენერობა, 24 ნაბიჯი წარმატებული სტარტაპისკენ“ არ არის კლასიკური სახელმძღვანელო და მისთვის საინტერესოა თუ რამდენად მიიჩნია ექსპერტმა აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად.

უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, შერჩევის პრინციპის შესახებ, განაცხადა, რომ ტარტუს უნივერსიტეტთან ჰქონდათ საერთაშორისო პროექტი Erasmus+ -ის ფარგლებში Credit Mobility, ასევე, მათი თანამშრომელი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წავიდა სწორედ ტარტუს უნივერსიტეტში და დღესაც აქვთ თანამშრომლობა, აქედან გამომდინარე შეირჩა აღნიშნული უნივერსიტეტი. ვალენსია კი მნიშვნელოვანია რეგიონული პრინციპიდან გამომდინარე, მათთვის დიდი უნივერსიტეტის და რეგიონული უნივერსიტეტის მისია სხვანაირად გამოიყურება და სწორედ ეს სპეციფიკაციები იყო საინტერესო. მან გაიხსენა საბჭოს წინაშე წარდგენილი „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მცირე ბიზნესი როგორ გამოიყურება ამერიკისთვის და საქართველოსთვის, ამ მიდგომით გააზრების შემთხვევაში საინტერესო იყო დიდი, რეგიონული უნივერსიტეტის მთავარი ნიშნულის გააზრება.

ექსპერტი, თეა კასრაძე, დაეთანხმა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს, რომ აკრედიტაციის პროცესის დროსაც არ ეთანხმებოდა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფს, სამოყვარულო ლიტერატურასთან დაკავშირებით, მაგრამ ექსპერტებმა მიიღეს გადაწყვეტილება რეკომენდაციის გაცემასთან დაკავშირებით. დამატებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ იგივე მოსაზრება გაუჩნდა, თუმცა ვინაიდან კლასიკური ლიტერატურა ქართულად ბაზარზე არ არის, სილაბუსში დამატებული იყო იმ ლექტორების მასალები, რომლებიც კითხულობენ აღნიშნულ სასწავლო კურსს, მან გადაწყვიტა, რომ გარკვეულწილად შესრულებულად ჩაეთვალა აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა უკეთესი იქნებოდა ლიტერატურაში კლასიკური სახელმძღვანელოს მითითება.

უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, განმარტა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მემორანდუმი, რომელიც დაწესებულებას მერიასთან აქვს გაფორმებულიეს ევროკავშირის 100 000 ევროდ ღირებული პროექტია, რომელიც ითვალისწინებს კულტურის მიმართულებით სტრატეგიული დოკუმენტის შექმნას მუნიციპალიტეტში, რომელშიც აკეთებენ კვლევას, ეს არის კულტურის სტარტაპი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გასტრონომიის აკადემიის ჩამოყალიბება და სავარაუდოდ, აპრილის პირველ ნახევარში ეს ცენტრი უკვე ექნებათ მათ სივრცეში, რომელიც მნიშვნელოვან სტარტაპებს განახორციელებს. რაც იქნება სტუდენტებისთვის შიდა გრანტების მიღების შესაძლებლობა, დამსაქმებლებისთვის დაკვეთებით შესრულებული სამუშაოები და მათთან არსებული პროფესიული განათლების განვითარება, სადაც ძირითადად წარმოდგენილი აქვთ აგრო სექტორი და სამშენებლო,

რომელიც გასტრონომიის ქუდ ქვეშ გააკეთებს მნიშვნელოვან სტარტაპებს, ამიტომ მისი მოსაზრებით, „ბიზნესის ადმინისტრირება“ არის მათი ძლიერი მხარე, რადგან აქვთ შესაძლებლობა ამ პროექტებში იყვნენ ჩართულნი და რეგიონის მოთხოვნებს უპასუხონ მაქსიმალურად.

საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი, დაინტერესდა, რომ თუ სტუდენტმა პირველ სემესტრში ვერ ჩააბარა სასწავლო კურსი, რომელიც არის მეორე სემესტრის სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობა, ასეთ შემთხვევაში როგორ ხდება ელექტრონული ბაზის მოწესრიგება.

უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, განმარტა, რომ ელექტრონულ პორტალზე სტუდენტს არ ექნება დაშვება, თუმცა მათ შემთხვევაში მეტად მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც პანდემიის პერიოდში აფხაზეთიდან დევნილი 300-400 სტუდენტი ჰყავდათ, რომლებზეც თითოეულზე გაწერილი ჰქონდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრის მერვე სასწავლო კვირაში, იყო შემთხვევა, როდესაც აფხაზეთიდან სტუდენტები ვერ გადმოდიოდნენ, არ ჰქონდათ შუქი, იყო ჰესის პრობლემა და სასწავლო პროცესში ვერ ჩაერთნენ, ამის გამო დაწესებულებამ მათთვის დამატებით შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. თუ დაწესებულება სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემას მიაბამს ამ ყველაფერს შესაძლებელია პრობლემის წინაშე დადგნენ, ამიტომ, აღნიშნულ პროცესს სპეციალური ჯგუფი აკონტროლებს. პროგრამა თავისთავად არეგულირებს პროცესს, მაგრამ ინდივიდუალურად განიხილება ჩართვა/არ ჩართვის, გავლა/ვერ გავლის საკითხი, ინდივიდუალურად განიხილება ყველა ტიპის დაბრკოლება, დაწესებულება რეგულაციებს არგებს სტუდენტებს, რადგან მათთვის თითოეული სტუდენტი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტები, რომლებთანაც ქართულ კომუნიკაციაზეც მუშაობენ, შემდეგ მასზე აშენებენ ხარისხს და სხვა სასწავლო კურსების შედეგებს. მისთვის, როგორც „აკადემიური წერის“ ლექტორისთვის დაწესებულებას ჰყავს ჯგუფები, რომლებიც ზემოაღნიშნულ სტუდენტებს ინდივიდუალურად ეხმარებიან, რომ გაიგონ თუ რა წერია წიგნში ქართულად, მიუხედავად იმისა, რომ მძიმეა მოსასმენად ამ მისიას უნივერსიტეტი ნამდვილად ასრულებს. მან დასძინა, რომ წინაპირობები დაცულია და სტუდენტები ვერ გაივლიან საგანს თუ მისი წინაპირობა არ აქვთ შესრულებული.

საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი, დაინტერესდა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ვერავინ ვერასდროს გაივლის „აკადემიურ წერას“ ინგლისურ ენაზე, რადგან ასწავლიან პირველ სემესტრში და უცხო ენის B2 აქვს დაშვების წინაპირობა.

უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ, განაცხადა, რომ მათთან არის ინტერნაციონალიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა უცხო ენების ცენტრი, რომელიც არეგულირებს ჩარიცხული სტუდენტების ენობრივ დონეს, თუ მას აქვს A1, A2 მას ერგება სასწავლო კურსის სილაბუსი, თუ მოდის B2 ან C1 დონით ის ირჩევს სხვა უცხო ენას და სურვილის შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა, რომ „აკადემიური წერა“ ინგლისურად გაიაროს, თუ დაშვების წინაპირობას დაუდასტურებს უცხო ენათა ცენტრი.

ექსპერტმა, თეა კასრაძემ, განაცხადა, რომ როდესაც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ზუგდიდში იყვნენ ჩასულები, მაშინ ითქვა, რომ დაწესებულებას ჰყავს სტუდენტები გაცვლითი პროგრამით და „აკადემიურ წერას“ არ ჰქონდა წინაპირობა.

უნივერსიტეტის რექტორი დაეთანხმა ექსპერტს და განაცხადა, რომ აბსოლუტურად სწორია მათი მიდგომა, რადგან როდესაც დაწესებულებამ ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა განაცხადა მის გრძელვადიან ხედვაში, ნიშნავდა იმას, რომ მთლიანად ინგლისურენოვან პროგრამაზე არ მოუწევდათ გადასვლა, გაწერეს ცალკეული სასწავლო კურსები, რომელებიც შეთავაზებული იქნებოდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამოსული სტუდენტისთვის, რომ მას ჰქონოდა საშუალება გაევლო საგნებში, რომლებიც არის არჩევითი სტატუსით, თუმცა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:43
დასრულების დრო: 14:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.07.2021 გადაწყვეტილება №694527
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეასრულა პრაქტიკულად ყველა რეკომენდაცია, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს მიერ იქნა გაცემული „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის №694527 გადაწყვეტილებით „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და

გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენისთვის განესაზღვრათ 6 თვიანი ვადა. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით გაცემული იყო მსგავსი რეკომენდაციები, შესაბამისად დაწესებულების მიერ შესრულდა მსგავსი ქმედება და შეფასებაც იდენტური იყო მოცემულ შემთხვევაში.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

1.გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა - რეკომენდაცია შესრულებულია. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის: „4. შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება“, მიღწევა რთული იყო ყველა სტუდენტისთვის, ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებულ საბაკალავრო ნაშრომს ჰქონდა არჩევითი სტატუსი. პროგრამაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, შეიცვალა საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი. შესაბამისად, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;

2.რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად - რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და მათი გაზომვადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკით. რაც შეეხება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, წარმოდგენილია შესაბამისი გადამუშავებული სილაბუსები, სადაც შესწორებულია სწავლის შედეგები (ოთხი სასწავლო კურსი) და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე შეიცვალა სასწავლო კურსების შინაარსი (ორი სასწავლო კურსი) მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არის სასწავლო კურსები, რომლებშიც, მაგალითად, პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში დაზუსტებას საჭიროებს. მაგალითად, სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია-1“ სწავლის შედეგი: „შეუძლია ორგანულ ქიმიაში საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.“ აღნიშნული სწავლის შედეგის გაზომვა კურსის ფარგლებში ვერ მოხდება, თუმცა ამ სწავლის შედეგს სტუდენტი რეალურად აღწევს, ვინაიდან პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულია სასპეციალიზაციო მოდულები, სპეციალობის არჩევითი ბლოკები და მეორადი სპეციალობა. შესაბამისად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროებები, რომელიც ამ სასწავლო კურსითაც მიიღწევა;

3.რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული იყოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან - რეკომენდაცია შესრულებულია. აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლა სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აისახა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან;

4.გასწორდეს საფაკულტეტო სასწავლო კურსების სტატუსი, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში - რეკომენდაცია შესრულებულია. გასწორდა შეუსაბამობები სასწავლო კურსების სტატუსთან მიმართებაში, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში;

5.გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან - რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შესწორდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგი. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ცვლილებები შევიდა ასევე კურსების შინაარსში. ცვლილება განხორციელდა სასწავლო კურსის „გარემოს კონტროლი და ექსპერტიზა“ სილაბუსში, კერძოდ, პრაქტიკული მეცადინეობების ნაცვლად, დაემატა ლაბორატორიული მეცადინეობები. შესაბამისი ცვლილება შევიდა სასწავლო გეგმაშიც;

6.პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს - რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. ცვლილებები განხორციელდა ორი სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც პრაქტიკული მეცადინეობები ჩანაცვლდა ლაბორატორიული მეცადინეობებით. თუმცა არის სასწავლო კურსები (მაგ. ანალიზური ქიმია 2), სადაც სასურველია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, სწავლის შედეგების მაღალ დონეზე მიღწევის საჭიროების და საუნივერსიტეტო რესურსების გათვალისწინებითაღსანიშნავია, რომ ასეთი რეკომენდაცია გაცემულია სამაგისტრო პროგრამების („ქიმია“, „ქიმიური ექსპერტიზა“) შემთხვევაშიც. შესაბამისად, შეფასება სამივე პროგრამის შემთხვევაში მსგავსია;

7.რეკომენდირებულია განახლდეს უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით - რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ განაახლა ხელშეკრულებები პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან, რომლებშის აისახა საწარმოო პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა და სტუდენტების რაოდენობა. წარმოდგენილია განახლებული 5 ხელშეკრულება. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას;

8.გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით - რეკომენდაცია შესრულებულია. ყველა სასწავლო კურსში, რომელთა სწავლის შედეგები უნარების კომპეტენციასთან მიიმართებით, ითვალისწინებს ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შეფასების კრიტერიუმებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნულ სასწავლო კურსებში, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა, ლაბორატორიული მეცადინეობების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

9.რეკომენდებულია, გადაიხედოს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს „საწარმოო პრაქტიკის“ შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე აქტივობის წილი და დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა - რეკომენდაცია შესრულებულია. გადამუშავდა საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, შეფასების სისტემასთან მიმართებით და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები;

10.რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც - რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა შეფასების კომპონენტებთან ერთად, ითვალისწინებს შეფასების შესაბამის კრიტერიუმებსაც.

ექსპერტის თქმით, საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ათივე რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, ერთ-ერთ მემორანდუმთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მემორანდუმს ვადა აქვს ამოწურული, მოქმედებდა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იყო, თუმცა გათვალისწინებული იყო, რომ მიიღებდა 8 სტუდენტს, რომელთა სახელები და გვარები ჩამოთვლილია, დაინტერესდა თუ რა ნიშნით შეირჩა აღნიშნული სტუდენტები. საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გადატანილია ძირითად სასწავლო კურსებში, რაც ძალიან კარგია, თუმცა პროგრამაში არ ისწავლება აკადემიური წერის ელემენტები და დაინტერესდა ხომ არ იქნებოდა სტუდენტებისთვის ხელისშემშლელი. ასევე, განაცხადა, რომ ვინაიდან სამიზნე ნიშნულები ასახავს მოლოდინს თუ რა დონით მიაღწევს სტუდენტი სწავლის თითოეულ შედეგს, ხომ არ აჯობებდა უფრო გარკვეული ყოფილიყო ჩანაწერი სამიზნე ნიშნულებში, რადგან უცხო თვალისთვის ჩანაწერი: „მაქსიმალური შეფასების 70%-ს მიიღებს სტუდენტების 75%“ - გაურკვეველია და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ აღნიშნული.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია „პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს“, რომელიც შესრულებულია მეტწილად და დასახელებულია, დარჩენილი სასწავლო კურსი „ანალიზური ქიმია 2“, დაინტერესდა ხომ არ იყო სხვა კურსებთან მიმართებითაც მსგავსი მდგომარეობა.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ სხვა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ლაბორატორიული მეცადინეობების ნაწილში რეკომენდაცია შესრულებულია, კითხვები დარჩა მხოლოდ სასწავლო კურსთან „ანალიზური ქიმია 2“ დაკავშირებით, სადაც არის 15 საათი ლაბორატორიისთვის, 15 საათი პრაქტიკული სამუშაოსთვის, ის შინაარსი, რომელიც გაწერილია ლაბორატორიისთვის, შესაძლებელია გაზრდილიყო სემინარისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარჯზე, რადგან რამდენიმე ისეთი ლაბორატორიული მეცადინეობა თითო საათში იყო განსაზღვრული, რომლის ერთ საათში სწავლება ვერ მოხერხდებოდა, სხვა შემთხვევებში აღნიშნული საკითხი ამოწურულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, მემორანდუმთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პრაქტიკა ეხებოდა ყველა სტუდენტს, გამომდინარე იქიდან, რომ ერთ საწარმოში შეუძლებელია მთელი ჯგუფის მიღება, ასეთ დროს ხდება სტუდენტების გადანაწილება სხვადასხვა საწარმოში, გადანაწილება ძირითადად ხდება სტუდენტების სურვილის გათვალისწინებით, თუ ვის სად სურს პრაქტიკის გავლა, რომ მიიღოს მონაწილეობა, შემდეგ ხდება როტაციაც, შესაბამისად ეს პროცესი სტუდენტების შერჩევასთან არ არის დაკავშირებული.
საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ თუ როგორ უნდა აიგოს ნაშრომი, მისი სტრუქტურა, აღნიშნული საკითხების სტუდენტებისთვის გაცნობას უზრუნველყოფს ნაშრომის ხელმძღვანელი, თუმცა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აიღონ თავისუფალი კრედიტები, თუ თვითონ ჩათვლიან საჭიროდ ან თუ პოტენციური ხელმძღვანელი მისცემს ამის რეკომენდაციას შესაძლებელია გაიარონ სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, რომელიც ჰუმანიტარულ ფაკულტეტს აქვს წარმოდგენილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტსა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ტარდება ტრენინგები, ასევე, დაწესებულებას უდევს ტრენინგების მასალა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ გვერდზე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოუსმინონ და გამოიმუშავონ ამ ტიპის ტექსტის აგების უნარი.
სამიზნე ნიშნულების შესახებ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მინიმუმ 60% არის ზღვარი, რომელსაც თუ ჩამოცდება პროგრამის ხელმძღვანელები იწყებენ ფიქრს რამე ხომ არ შეცვალონ პროგრამაში, სტუდენტების დანარჩენი შეფასება ხდება იმ კრიტერიუმებით, რომელითაც 50%+1 ქულაა გამსვლელი, სამიზნე ნიშნული განსაზღვრავს იმას, თუ საიდან უნდა დაიწყონ პროგრამის გაუმჯობესება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა სტუდენტები ვერ აბარებენ, მათი შეფასება ხდება ჩვეულებრივად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო ჩანაწერი „მაქსიმალური შეფასების 70%-ს მიიღებს სტუდენტების 75%“.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ თუ მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა, მაშინ თუ 70 ქულას მიიღებს სტუდენტების სრული რაოდენობის 75% დაწესებულება არაფერს შეცვლის, თუ ვერ მიიღებს - დაიწყებენ ფიქრს პროგრამის გაუმჯობესებაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, დააზუსტა იყო თუ არა აღნიშნული გათვლილი მხოლოდ A-ზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ გათვლილი იყო საშუალო ქულაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, აღნიშნა, რომ ჩანაწერი იწვევდა კითხვას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განმარტა, რომ 70%-ში იგულისხმება მაქსიმალური შეფასების 70%, ანუ 70 ქულა და მეტი, რომელსაც დაიმსახურებს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 75%, ყოველი 4 სტუდენტიდან მინიმუმ 3 მიიღებს, დანარჩენი სტუდენტების შესახებ არ იგულისხმება, რომ ჩაიჭრებიან, უბრალოდ ისინი მიიღებენ 50 ქულაზე მეტს.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, პრაქტიკის შერჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის სტუდენტებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადეს გათვალისწინებულია ყველა სტუდენტის ერთჯერადი ვიზიტი ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელშიც პრაქტიკაა გათვალისწინებული და ამის შემდეგ ირჩევენ სტუდენტები სად გააგრძელებენ პრაქტიკას.
საბჭოს წევრის, ეკატერინე შაკიაშვილის, განმარტებით მისი ინტერესი გამოიწვია ერთ-ერთ ორგანიზაციასთან გაფორმებულმა მემორანდუმმა, რადგან მხოლოდ იქ იყო გაწერილი სტუდენტების სახელები და გვარები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა ეს ერთჯერადი მემორანდუმები.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ მემორანდუმებს აკეთებენ პრაქტიკის ობიექტები, რომლებსაც თავისი მიდგომა აქვთ და დაწესებულებაში მხოლოდ ხელმოსაწერად იგზავნება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, დააზუსტა ჩაწერა თუ არა სტუდენტების გვარები ორგანიზაციამ.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ გაგზავნილი მიმართვების საფუძველზე მზადდება ერთჯერადი ხელშეკრულება, რადგან ორგანიზაციისთვის ეს უფრო მიღებული ფორმაა.
პროგრამის ხელმძღვანელის, იოსებ ჩიკვაიძის, ინფორმაციით ხშირად საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ სტუდენტების ნაწილი საქმდება იმავე საწარმოში.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, ნინო თაყაიშვილმა, „ანალიზური ქიმია 2-ის“ შესახებ განაცხადა, რომ მისი კვირეული დატვირთვა მოიცავს 1 სთ ლექცია, 1 სთ სემინარი, 1 სთ პრაქტიკული და 1 სთ ლაბორატორიული მეცადინეობა, პრაქტიკული სამუშაო მოიცავს ლაბორატორიული ამოცანების თეორიული/პრაქტიკული ასპექტების განხილვას და გააზრებას, ანუ სტუდენტს უკვე აქვს იმის მზაობა, რომ შეასრულოს ამოცანა ლაბორატორიულ მეცადინეობაზე, მომდევნო პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხდება მის მიერ შესრულებული ამოცანის დამუშავება, გაფორმება, გათვლა, მიღებული შედეგების განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული სამუშაო მხოლოდ 1 სთ-ს მოიცავს, პრაქტიკული სამუშაო განსაზღვრავს სტუდენტის მზაობას, მაგრამ სტუდენტი ამოცანას ლაბორატორიული სამუშაოს დროს აკეთებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განაცხადა, რომ პრაქტიკულად ლაბორატორიული ამოცანის შესრულებას ეთმობა მინიმუმ 2 საათი, რაც იძულებითი ფორმაა, რადგან ისედაც გადატვირთულია პროგრამაში ლაბორატორიული სამუშაო, რომელიც 500 საათამდეა მოცემული, ხოლო ევროპულ სტანდარტს კი 400 საათზე მეტი არ აქვს, შესაძლებელი იყო კიდევ უფრე მეტი დატვირთვა, მაგრამ კრედიტების რაოდენობა მხოლოდ ამის საშუალებას იძლეოდა, ზოგიერთ სასწავლო კურსში არის მხოლოდ 2 კომპონენტი ლექცია და ლაბორატორიული სამუშაო, ნაწილში კი ლექცია-სემინარი.
სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია 1-ის“ სწავლის შედეგის შესახებ, მან განაცხადა, რომ საკმაოდ ზოგადი საკითხია და ეხება არა მხოლოდ ერთ საბაკალავრო პროგრამას, არამედ სამაგისტრო კურსებსაც, ასევე, შესაძლებელია ეხებოდეს ყველა სასწავლო კურსს, რომელიც ამა თუ იმ პროგრამაში არის ძირითადი/განმსაზღვრელი საგანი. მისი მოსაზრებით ამ შედეგში

იგულისხმება, რომ სტუდენტი, რომელმაც კარგად შეისწავლა პრობლემა, გაიაზრა მისი თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე/ერთმანეთთან მიმართებაში და მთლიანად შეექმნა წარმოდგენა აღნიშნულ საგანზე, მას შეუძლია შეაფასოს საკუთარი ცოდნა ამ მხრივ და შეაფასოს მისი ცოდნა და აირჩიოს სხვა საგნები იმავე მიმართულებით ან აქვს შესძლებლობა სხვა მიმართულებით აირჩიოს საგნები.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენელს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან აუცილებელია ასახულიყო ის სწავლის შედეგი, რომელსაც სტუდენტი მიაღწევს, მაგრამ მისი გაზომვა კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ვერ განხორციელდებოდა, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ელენე კაცაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების უმეტესი ნაწილი დაწესებულებამ გაითვალისწინა, მაგრამ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგებს გადაწყვიტეს უცვლელი დაეტოვებინათ, რადგან არსებობს ისეთი ფუნდამენტური საგნები, რომლებზეც სტუდენტმა უნდა დააშენოს თავსი აკადემიური მოსწრება/განვითარება, მათ შორის არის „ორგანული ქიმია 1“, რომელიც წარმოადგენს ბევრი სასწავლო კურსის წინაპირობას, სტუდენტი ამ კურსის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. მისი მოსაზრებით თუ შედეგი მიიღწევა აუცილებლად უნდა იყოს გაზომვადი, თუ არ იზომება, მაშინ ეს შედეგი შედეგად არ ითვლება, ექსპერტთა დასკვნაში წერია, რომ შედეგი მიღწევადია, მაგრამ არ არის გაზომვადი.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განმარტა, რომ რეალურად სწავლის შედეგი მიღწევადია, მაგრამ კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში მისი გაზომვა ვერ ხორციელდება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.07.2021 გადაწყვეტილება №694528
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია:
1.გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ დაცული იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის - რეკომენდაცია შესრულებულია.

„ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა წარმოდგენილია განახლებული სახით, უზრუნველყოფილია შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;

2.რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად - მოცემული რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და მათი გაზომვადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებით, რაც დასტურდება განახლებული სწავლის შედეგების რუკით. წარმოდგენილია სასწავლო კურსების გადამუშავებული სილაბუსები, სადაც შესწორებულია სწავლის შედეგები და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არის სასწავლო კურსები, რომლებშიც სწავლის შედეგები მაგალითად, პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში რეალურად მიიღწევა, მაგრამ მათი გაზომვა კურსის ფარგლებში რთულია. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს 8 მოდულს და პირველი სემესტრის შემდეგ სტუდენტები ირჩევენ ერთ-ერთ მოდულს. შესაბამისად, პირველი სემესტრის სასწავლო კურსის „თანამედროვე ქიმიის თეორიული საფუძვლები“, სწავლის შედეგი „შეუძლია საკუთარ საქმიანობისა და პროფესიულ განვითარების დაგეგმვა“. რეალურად მიიღწევა, თუმცა მათი გაზომვა ამ კურსის ფარგლებში ვერ ხორციელდება;

3.პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდირებულია, განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების სათანადო კომპეტენციები - რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში და განსაზღვრა პროგრამაზე დაშვების სათანადო კომპეტენციები. კერძოდ, დაკონკრეტდა საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი კვალიფიკაციები (მეცნიერების ბაკალავრი/ბაკალავრი ქიმიაში; მეცნიერების ბაკალავრი/ბაკალავრი ბიოლოგიაში, ეკოლოგიაში, ფიზიკაში მეორადი სპეციალობით „ქიმია“; მეცნიერების/ინჟინერიის ბაკალავრი/ბაკალავრი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში; ფარმაციის ბაკალავრი), რომელთა კურსდამთავრებულებსაც შეუძლიათ „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა;

4.რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების მექანიზმები - რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაამუშავა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, განსაზღვრა, როგორც დაშვების შესაბამისი მექანიზმები, ისე კომპეტენციები (მე-3 რეკომენდაციის შესაბამისად);

5.რეკომენდირებულია, პროგრამის თითოეულ მოდულში სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის შესაძლებლობა - რეკომენდაცია შესრულებულია. ცვლილებები განხორციელდა პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის შვიდივე მოდულში სავალდენულო კომპონენტად განისაზღვრა ინგლისური ენა B2.1. და ინგლისური ენა B2.2. სასწავლო კურსები. შესაბამისად, თითოული მოდულის ზოგიერთ სასწავლო კურსს შეეცვალა სტატუსი;

6.გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან - რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა გადაამუშავა რიგი სასწავლო კურსების (ექვსი სასწავლო კურსი) სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოიყვანა სასწავლო კურსების შინაარსთან;

7.გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით - რეკომენდაცია შესრულებულია. ყველა სასწავლო კურსში, რომელთა სწავლის შედეგები ითვალისწინებს ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შეფასების კრიტერიუმებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნულ სასწავლო კურსებში, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა, ლაბორატორიული

მეცადინეობების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (25%). აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო ასევე „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში და დაწესებულებამ სამივე პროგრამაში გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია;

8.რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც - რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელდა შესაბამისი ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და განისაზღვრა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია, ასევე გაცემული იყო „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაშიც, რომელიც ასევე გაითვალისწინა დაწესებულებამ.

მან განაცხადა, რომ აკრედიტაციისს საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, სხდომაზე დაწესებულებამ გააჟღერა, რომ რჩევებსაც გაითვალისწინებდნენ და შეასრულეს ყველა რჩევა, რომლის შესრულებაც შესაძლებელი იყო 6 თვიან ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე, ინგლისური ენის B2 დონესთან დაკავშირებით, დაინტერესდა ხომ არ განიხილება პროგრამის წინაპირობის ნაწილში მისი მოთხოვნის შესახებ, რათა ამ მიმართულებით კრედიტები არ დაიხარჯოს.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულება ითხოვს B1 დონეს, თუმცა B2-დან იწყებს სწავლებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამის წინაპირობა B2 დონეა, შესაბამისად ასე იყო დალაგებული საფეხურებრივად.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ ამ კურსის მოდულებში გათვალისწინება დარგობრივი საკითხების შემოტანისას არის უზრუნველყოფილი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის მიზანში აღნიშნულია - „სტუდენტს მაღალ თეორიულ დონესთან ერთად ათვისებული ექნება, ნივთიერებათა სინთეზისა და კვლევის თანამედროვე მეთოდები, რაც მას მისცემს საშუალებას აწარმოოს ნაყოფიერი პედაგოგიური და შრომითი სამეცნიერო მოღვაწეობა“, დაინტერესდა თუ რომელი სასწავლო კურსით მიიღწევა აღნიშნული მიზანი, რადგან კვლევის მეთოდები პროგრამაში გაწერილი არ არის. დასაქმების სფეროში გაწერილია სკოლა, დაინტერესდა იგულისხმება თუ არა მასწავლებელი, თუ სკოლაში მასწავლებლად შეუძლია მუშაობა დასჭირდება თუ არა პედაგოგიკის გარკვეული კურსი - სწავლის მეთოდები. ასევე, დააზუსტა თუ რამდენად ხარისხიანად ამზადებენ სამაგისტრო ნაშრომს, რადგან პროგრამის ფარგლებში არც „აკადემიური წერა“ ისწავლება და არც „კვლევის მეთოდები“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კვლევის მეთოდოლოგია არის ძალიან ვრცელი, როდესაც დოქტორანტურის საფეხურზე, მაგ., ფიზიკაში დასჭირდებათ კვლევის მეთოდოლოგია შეეტანათ სხვა დარგებიდან, სოციოლოგიაში შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკა იყოს კვლევის მეთოდი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კი ყველაფერი, რაც ისწავლება შესაძლებელია გამოყენებული იყოს, როგორც კვლევის მეთოდი, ამიტომ ცალკე საგნად გამოყოფა შეუძლებელია. მნიშვნელოვანია რას აკეთებს მეთოდოლოგია, რა თემაზეა მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს მეთოდოლოგიებს, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომი არის შედეგზე გასვლის ძირითადი ინდიკატორი.

სკოლის შესახებ მან განაცხადა, რომ საჯარო სკოლაში არის მოთხოვნა სწავლების მეთოდების გავლის შესახებ, მაგრამ ძალიან ბევრი სტუდენტი საბაკალავრო დონეზე მეორად სპეციალობად გადიოდა პედაგოგიკას, ვისაც ჰქონდა აღნიშნული მიზანი. გარდა ამისა ნერგავენ მეთოდს, როდესაც საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობაში ერეოდნენ მაგისტრანტები, (საბაკალავრო ნაშრომი გახდა სავალდებულო და ძალიან დიდია სტუდენტების რიცხვი),

თანახელმძღვანელებად აუცილებლად ერთვებოდნენ მაგისტრანტები, პროფესორთან ერთად, ამით ისინი იღებდნენ პედაგოგიურ გამოცდილებას.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, განაცხადა, რომ მასწავლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს სხვანაირად, აუცილებელია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა, ამდენად დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია საბაკალავრო საფეხურის მაინორი სკოლაში მასწავლებლად აყვანისთვის, მისი ვარაუდით არ არის საკმარისი და სწორედ ამიტომ არ ჰქონდათ პროგრამაში მეთოდიკის/პედაგოგიკის საგნები, რადგან ამას აკეთებს შესაბამისი მასწავლებლის მომზადების პროგრამები, თუმცა სთხოვა განემარტათ თუ როგორ მოდის მაინორი პროგრამასთან მიმართებით თავსებადობაში.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ ფსიქოლოგიისა და განთლების მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს პედაგოგიკის მაინორი, საჯარო სკოლები არ იყვანენ კადრს თუ მას არ აქვს გავლილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, ამიტომ ბევრი კარგი სტუდენტი, რომელიც ფიზიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლობს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკის მასწავლებლების ნაკლებობაა არ იყვანენ საჯარო სკოლებში, თუმცა კერძო სკოლები იყვანენ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვან სექტორებში, სადაც მასწავლებელთა განსაკუთრებული დეფიციტია, მისი ვარაუდით არ იქნება ცუდი, თუ სტუდენტს გავლილი ექნება მეთოდოლოგიური ნაწილი, როდესაც კერძო სკოლაში დაიწყებს მუშაობას, ცხადია სამაგისტრო პროგრამა უქმნის ძალიან კარგ საფუძველს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლისთვის.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, ნინო თაყაიშვილმა, დასძინა, რომ მიდიან, როგორც მასწავლებლებად ან ლაბორანტებად.

15:31 საათზე საბჭო დატოვა ლევან მოსახლიშვილმა.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, დააზუსტა, რომ მაინორ პროგრამით უფრო მომზადებულ სტუდენტებს უგზავნიან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამას, ასევე, კერძო სკოლა აკეთებს შეღავათს და სტუდენტი პრაქტიკოსი მასწავლებლიდან ნელ-ნელა იწყებს წინსვლას სქემის წესების გათვალისწინებით, თუმცა მისი ინფორმაციით კერძო სკოლებიც ერიდებიან, რადგან კანონმდებლობასთან მიმართებით ავტორიზაციის სტანდარტი სწორედ ამ მოთხოვნას უყენებს.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის და შემდეგ საბჭოს მიერ გაცემულ იქნა რჩევა, რომ პედაგოგიურ საქმიანობასთან მიმართებაში დაზუსტებულიყო პროგრამის მიზნები.
საბჭოს წევრის, გურანდა ჭელიძის, მოსაზრებით, ასეთ დროს უმჯობესია თუ პროგრამაში იქნება მინიშნება, რომ სკოლაში დასაქმების შემთხვევაში საჭიროა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი აქტივობების განხორციელება.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განმარტა, რომ გაიწერა რჩევად, რადგან სკოლა ასაქმებს ლაბორანტებსაც, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს პედაგოგიურ საქმიანობად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, დასძინა რომ თავიდან სწორედ ამიტომ იკითხა საქმდებოდნენ თუ არა სკოლებში მასწავლებლად, რაზეც დასტური მიიღო.
საბჭოს წევრის, გურანდა ჭელიძის, მოსაზრებით, უმჯობესია პროგრამაში განმარტებული იყოს, რომ სკოლისთვის ლაბორანტი სხვა კვალიფიკაციაა და მასწავლებელი სხვა
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განმარტა, რომ, როდესაც უწერიათ პედაგოგიური გამოცდილება, გულისხმობენ სტუდენტის მრავალმხრივ მომზადებას ქიმიაში, დაწესებულებაში არსებობს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, რომელიც დამწყები/მოქმედი მასწავლებლებისთვის არის გათვლილი, სამაგისტრო საფეხურის მიზანია სპეციალობაში მაღალი დონის ცოდნის მიღება, სტუდენტს კი შეუძლია დამატებით გაიაროს პედაგოგიკის კურსი ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი სწავლობს შეუძლია პედაგოგიკა აირჩიოს მაინორის 60 კრედიტით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო პროგრამაზე მივიდა სტუდენტი, რომელსაც არ აქვს გავლილი მაინორის 60 კრედიტი, რას სთავაზობს დაწესებულება სტუდენტს ამ შემთხვევაში, რადგან უწერიათ, რომ შეუძლია პედაგოგად მუშაობა.

კვლევის მეთოდების შესახებ აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კვლევა მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ დარჩა გაურკვევლობა, თუ რატომ არ უნდა იყოს და რომელ საგნებშია ის კონკრეტული კვლევის მეთოდები, რომლითაც ასწავლიან სტუდენტს კვლევას სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის. რადგან, როდესაც ლაბორატორიულ კვლევას აწარმოებს მას სჭირდება ის უნარები, რომელსაც კვლევაში გამოიყენებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განაცხადა, რომ აქვთ წინაპირობა, რომელიც აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შემდეგ შეკვეცეს და მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი დატოვეს, რადგან სტუდენტმა მაგისტრატურაში ისეთი კურსები, უნდა გაიაროს, რომელთა მაღალ დონეზე ათვისება შეუძლებელია თუ სტუდენტი არ იქნება ქიმიის, ბიოლოგიის ან მონათესავე სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული, ან არ ექნება გავლილი ქიმიის მაინორი პროგრამა, შესაბამისად ამ მხრივ არის ლიმიტირებული. თუ სტუდენტს არ აქვს პედაგოგიკის 60 კრედიტი გავლილი, ეს შეზღუდვა არ არის, რადგან მაგისტრატურაში აბარებს 15-20 სტუდენტი, რომელთაგან მასწავლებლობა 2-3-ს უნდა, თუ პედაგოგიკას ჩაწერენ წინაპირობად შეიზღუდებიან სტუდენტები, რომელთაც სკოლაში მოღვაწეობა არ სურთ, ამასთანავე, მაგისტრანტებს შეუძლიათ დამატებით გაიარონ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განმარტა, რომ მისი მოსაზრებით არ უნდა ჩაწერონ პედაგოგიკა წინაპირობად, რადგან მაგისტრატურასთან კავშირში არ უნდა ჰქონდეს გავლილი აქვს თუ არა სტუდენტს პედაგოგიკის მაინორი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, კვლევის მეთოდების შესახებ განაცხადა, რომ არსებობს ქიმიის მიმართულებით ძალიან ბევრი კვლევის მეთოდი, შესაბამისად ძალიან რთულია მათი ერთ სასწავლო კურსად გაერთიანება, მათი სტუდენტები, ბაკალავრიატში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქიმიის რომელიმე დარგში დახელოვნებით, ისინი უკვე ებმებიან ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევით მუშაობაში და იქ ეცნობიან კვლევის მეთოდებს, რაც შემდეგ საბაკალავრო ნაშრომის გაფორმებით მთავრდება. ამასთანავე, მაგ., ორგანული ქიმიის კვლევის მეთოდები სრულად განსხვავებულია ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას, თუმცა მისთვის გაუგებარია რას მოიცავს ნაშრომის გაფორმება, შესაბამისად, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ ნაშრომის სტრუქტურა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განაცხადა, რომ ნებისმიერი გამოკვლევა, რომელიც ფორმდება საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების სახით აუცილებლად მოიცავს მეცნიერულ სიახლეს, საბაკალავრო ნაშრომის გაფორმებისას სტუდენტი პირველ რიგში ეცნობა ლიტერატურას, ხელმძღვანელის დახმარებით, გააჩნია ლიტერატურა ელექტრონული რესურსებიდან იქნება თუ ბიბლიოთეკიდან, დაწესებულება ხშირად აგზავნინებდა ასლს უცხოეთში მყოფ ასპირანტებს, თუმცა ახლა ინტერნეტი იძლევა საშუალებას გაეცნონ ლიტერატურას, თუ რა არის მიმოხილული აღნიშნული პრობლემის ირგვლივ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელ საგანში ეცნობიან სტუდენტები პრობლემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ ყველა საგანში ეცნობიან პრობლემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, სწორედ ეს არის დარგის სპეციფიკა, ყველა საგანი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კვლევის მეთოდად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია თუ სად ეცნობა სტუდენტი ციტირების წესს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების ვებ გვერდზე ატვირთულია Chicago-სა და APA-ს სტილი, შესაბამისად სტუდენტს შეუძლია გაეცნონ და ისე შეასრულონ ნაშრომი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ აკადემიური წერა საბუნებისმეტყველო მიმართულებით დარგის სასწავლებელია მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხშირად ფილოლოგიის მიმართულებებით ისწავლება, აკადემიური წერა გულისხმობს დარგში გაკეთებულ პროდუქციას. მაგ., მათემატიკის ამოცანის ჩაწერა ხდება სხვა ტექსტური მონაცემებით, ქიმიის სხვა მონაცემებით და ფიზიკის სხვა მონაცემებით, თუ ეს დარგის სპეციალისტმა არ ასწავლა სტუდენტს, ფილოლოგი ვერ მოახერხებს, ამიტომ უკვე ორი წელია დარგის სპეციალისტები კითხულობენ სასწავლო კურსს „აკადემიური წერა“.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა მოწმდება თუ არა სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები პლაგიატზე და რა არის დამთხვევის დასაშვები პროცენტული მაჩვენებელი, რადგან დარგი სპეციფიურია და მხოლოდ სიტყვების დამთხვევაზე არ იქნება საუბარი, ეს ეხება ფორმულებსა და ა.შ.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა თუ როგორ ხდება სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის არჩევა, რადგან მისი მოსაზრებით სტუდენტს შეუძლია ნაშრომი დაწეროს ქიმიის ნებისმიერი მიმართულებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, დაადასტურა, რომ სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის თემა შეარჩიოს ქიმიის ნებისმიერი მიმართულებიდან.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ თითოეული მათგანი მოიცავს თავისი კვლევის ლაბორატორიულ მეთოდებს, დაინტერესდა ხომ არ ფიქრობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, რომ სამაგისტრო პროგრამას თუ ლაბორატორიული კვლევის მეთოდებში შევიდოდა ცვლილება, სასურველი იქნებოდა კვლევის მეთოდები წაეკითხა იმ მიმართულების სპეციალისტს, რადგან მას შეუძლებლად მიაჩნია, რომ სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულმა შეძლოს ქიმიის რომელიმე დარგში გააკეთოს ნაშრომი.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განმარტა, რომ ყველა საგანი მოდულში შეიცავს კვლევის მეთოდოლოგიას.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, აღნიშნა, რომ გაეცნო სასწავლო კურსებს და მითითებული კვლევის მეთოდები არ არის საკმარისი.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, განაცხადა, რომ დისკუსია გამოწვეულია იმით, რომ მას უნახავს ბევრი უნივერსიტეტი, რომელთაც საბჭო სავალდებულოდ უწერს სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაში, რაც მისთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს სადოქტორო პროგრამაში კვლევის მეთოდები, თუმცა თუ ეს ასე აქვთ, ხომ არ ფიქრობენ დაწესებულების წარმომადგენლები მის შეცვლაზე. ასევე, დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლთა მოსაზრებით, უნდა იყოს თუ არა გამოყოფილი კვლევის მეთოდები სადოქტორო საფეხურზე.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ არ უნდა იყოს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს ან ძალიან ვიწრო, ან ძალიან ზოგადი.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე, დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლთა მოსაზრებით, უნდა შეცვლილიყო თუ არა აღნიშნული.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ სამაგისტრო საფეხურზე არის ცალკე გამოყოფილი, მაგრამ არ არის სადოქტორო საფეხურზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა სამაგისტრო ნაშრომების ნახვის შესაძლებლობა.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურა და სამაგისტრო ნაშრომები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურზე ამის აუცილებლობა არ არის და ყველა სასწავლო კურსი, სადაც გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაო, თითოეული ლაბორატორია თავის მეთოდოლოგიასა და თავის ხელსაწყოებს, დანადგარებსა და ა.შ. მოიცავს, ამიტომ ლაბორატორიული მეცადინეობის მეთოდიკიდან იწყება ყველაფერი. ასევე, მან განმარტა, რომ აკრედიტაციის პროცესში ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის ნახვის შესაძლებლობა და ორივე სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში საუკეთესო პრაქტიკად გამოიტანეს შემთხვევა, როდესაც სტუდენტებს ხელმძღვანელებთან ერთად სტატია აქვთ გამოქვეყნებული მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ მათ აქვთ პლაგიატის სისტემა, ასევე, დაეთანხმა მოსაზრებას, რომ პლაგიატის პროგრამა ვერ დაინახავს ფორმულებს შორის მსგავსებას, ამიტომ აღნიშნულ პროცესში დიდი როლი აქვს პლაგიატის დეტექტირებას. რაც შეეხება, შედეგებს არ იყო ცუდი, ეს როლი აკისრია ხელმძღვანელსა და რეცენზენტს, მათზე გადადის პლაგიატზე შემმოწმებლის როლი. სადოქტორო საფეხურზე შედარებით უკეთ არის საქმე, რადგან პროგრამის ფარგლებში მოითხოვენ სამ მაღალრეიტინგულ ჟურნალში სტატიების გამოქვეყნებას, რომელთაგან ერთი მაინც იქნება მაღალი რეიტინგის მქონე და ეს ფაქტი გამორიცხავს პლაგიატს.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საუბარი იყო დამთხვევის პროცენტულ მაჩვენებელზე,
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დასაშვებია საშუალოდ დამთხვევის 10-13%.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, დააზუსტა 10-13% იყო თუ არა დასაშვები მაგისტრატურა/დოქტორანტურის საფეხურზე.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მაგისტრატურის საფეხური შეამოწმეს ბოლოს, რადგან დოქტორანტურაში იმდენად ცოტამ დაცვა, რომ სტატისტიკას აზრი არ აქვს, შეუძლებელიც არის, რომ დამთხვევა მოხდეს.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა პლაგიატის რომელ პროგრამას იყენებს დაწესებულება.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ იყენებენ Turnitin-ის პროგრამას.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ელენე კაცაძემ, განაცხადა, რომ ნებისმიერი საგანი ქიმიის მიმართულებით, რომელიც მოიცავს ლაბორატორიულ მუშაობას სწავლობს კვლევის მეთოდებსაც.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განაცხადა, რომ ქიმიის სამაგისტრო პროგრამის პირველი სემესტრი მოიცავს ზოგად საგანს, ეს არის ქიმიის თეორიული საფუძვლები და მოიცავს კონკრეტულ ხუთ საგანს ქიმიის სხვადასხვა მიმართულებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც სტუდენტი ირჩევს მოდულებს, რომელშიც სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით არსებობს უამრავი აქტუალური პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია და მეცნიერულ სიახლეს შეიცავს, როგორც ფუნდამენტური, ასევე ამ სიახლის სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისითაც.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.07.2021 გადაწყვეტილება №694530
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია სრულად თუმცა არის სასწავლო კურსი, რომლის სწავლის შედეგი ვერ იზომება სასწავლო კურსის ფარგლებში.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია:
1.რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად - რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და მათი გაზომვადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკით. წარმოდგენილია სასწავლო კურსების გადამუშავებული სილაბუსები, სადაც შესწორებულია სწავლის შედეგები და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არის სასწავლო კურსები, რომელთა ყველა სწავლის შედეგის გაზომვა შესაბამისი კურსის ფარგლებში ვერ მოხდება. მაგალითად, სასწავლო კურსის „ქიმიური ექსპერტიზის სამართლებრივი ასპექტები“ სწავლის შედეგი „საკუთარი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კრიტიკულად შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის ამაღლების დაგეგმვა“ გაზომვა ამ კურსის ფარგლებში რთული იქნება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშშიც მითითებულია, რომ სილაბუსების ნაწილში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები;
2.გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვროს პროგრამის შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით და აისახოს შესაბამისი კურსების სილაბუსებში - რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. განისაზღვრა სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. ცვლილებები აისახა პროგრამის სასწავლო გეგმაში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში. გასასწორებელი დარჩა სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა. ვინაიდან, პროგრამაში შეიცვალა ორი სასწავლო კურსის სტატუსი და სავალდებულო კურსების კრედიტების რაოდენობამ შეადგინა 70 კრედიტი, ნაშრომზე დაშვების წინაპირობაში არის ტექნიკური შეცდომა, სავალდებულო კურსების რაოდენობასთან მიმართებით. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობები, გასასწორებელია პროგრამის მოცულობის და კრედიტების განაწილებასთან მიმართებითაც;

3.გადაიხედოს სასწავლო კურსების „თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძველები“, „სერტიფიცირება-აკრედიტაციის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივები“ სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან - რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო კურსების „თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძველები“, „სერტიფიცირება-აკრედიტაციის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივები“ განმახორციელებელმა პერსონალმა შეიტანა შესაბამისი ცვლილებები კურსების სილაბუსებში. კერძოდ, შეასწორა სწავლის შედეგები და უზრუნველყო კურსების სწავლის შედეგების და შინაარსის შესაბამისობა;
4.განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს - რეკომენდაცია შესრულებულია. გადაიხედა სასწავლო კურსების ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობა და ცვლილებები შევიდა ორი სასწავლო კურსის საათების განაწილებაში. კერძოდ, „ნივთიერებათა ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდების“ და „ნივთიერებათა კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპიული მეთოდების“ სასწავლო კურსებში გაიზარდა ლაბორატორიული მეცადინეობების საათების რაოდენობა;
5.გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით - რეკომენდაცია შესრულებულია. ყველა სასწავლო კურსში, რომლებიც ითვალისწინებს ლაბორატორიულ მეცადინეობებს, უნარების სწავლის შედეგების კომპეტენციის მიღწევასთან მიმართებით, შეფასების კრიტერიუმებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნულ სასწავლო კურსებში, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა, ლაბორატორიული მეცადინეობების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე გაცემულია „ქიმიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით და დაწესებულებამ სამივე პროგრამაში განახორციელა შესაბამისი ცვლილებები;
6.რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც - რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელდა შესაბამისი ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და განისაზღვრა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია „ქიმიის“ სამაგისტრო პროგრამაშიც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასწავლო კურსში აღნიშნულია, რომ საბოლოო გამოცდაზე გასვლის წინ სტუდენტმა უნდა დააგროვოს 11 ქულა, თუმცა მან ვერ ნახა გამოცდის მინიმალური ზღვარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ განაცხადა, რომ საბოლოო გამოცდაზე ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების 50%, რაც საუნივერსიტეტო რეგულაციაა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული უახლოეს მომავალში გასწორდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის შესაბამისად, რადგან აღნიშნული პროგრამები შემოტანილია ბრძანება №3-ის განახლებული ვერსიის დამტკიცებამდე.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.07.2021 გადაწყვეტილება №694531
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების დაწესებულების მიერ შესრულების შესახებ ინფორმაცია:
1.დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენის კომპეტენციასთან მიმართებით და განისაზღვროს ის ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურების პირობით - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. შეიცვალა და დაზუსტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონეზე დადასტურების პირობით;
2.რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სტატუსი - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სასწავლო კურსი „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ გახდა სავალდებულო. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის სტრუქტურაში, სასწავლო კურსის სილაბუსში და სწავლის შედეგების რუკაში;
3.გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. მათ შორის, დაკონკრეტდეს „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სწავლის შედეგები - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაამუშავა „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სილაბუსები, დააკონკრეტა ორივე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები;
4.რეკომენდირებულია, გასწორდეს გადაფარვები სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამის კომპეტენციებში - რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. გადამუშავდა სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლის შედეგებთან მიმართებით. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ე. წ. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების განახლების შესახებ, სადაც გასაუმჯობესებელი იყო სწავლის შედეგების ფორმირების საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, ექსპერტმა ბოლო რეკომენდაციის შესახებ, აღნიშნა თუ არა, რომ საუბარი იყო საუნივერსიტეტო საგანზე, რადგან დასკვნაში, წერია, რომ სილაბუსები გადამუშავდა, თუმცა ანგარიშს არ ახლდა თან.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ „კვლევის სტატისტიკურ მეთოდებს“ ლაბორატორიული სამუშაოების შეფასება ეწერა, რაც გასწორდა, „მეცნიერების მენეჯმენტი“ იყო სასწავლო კურსი, რომელიც ორივე კომპეტენციაში იყო მითითებული

ცოდნა-გაცნობიერებასა და უნარებში ერთ-ერთი სწავლის შედეგი „შეუძლია საპროექტო წინადადების მომზადება“ და სწორედ აღნიშნული სასწავლო კურსია საუნივერსიტეტო, რომელშიც ამ ეტაპზე ტექნიკური გადაფარვა არ იქნა წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტის მოსაზრებით, შეუშლიდა თუ არა ხელს აღნიშული ხარვეზი სწავლის შედეგებზე გასვლას.
ექსპერტის, ინგა ბოჭოიძის, განმარტებით აღნიშნული არ შეუშლიდა ხელს სწავლის შედეგებზე გასვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი ადამიანი/რეცენზენტი აფასებს ნაშრომს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განაცხადა, რომ დისერტაციას აფასებს არანაკლებ ორი რეცენზენტი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ორი რეცენზენტის დასკვნა უარყოფითია.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ერთი რეცენზენტის დასკვნა დადებითია, მეორე კი უარყოფითი.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ინიშნება მესამე რეცენზენტი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განაცხადა, რომ მათი ყველა პროგრამა უკეთესი გახდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის/საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების დამსახურებით. დოქტორანტურის საუნივერსიტეტო საგნების შესახებ კი მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საგნები უნივერსიტეტში არსებულ უკვე აკრედიტებულ პროგრამებზე ისწავლება და პროგრამის წარმომადგენლებმა ვერ მისცეს თავს უფლება შეეცვალათ სილაბუსი, რომლის ექსპერტებიც არ არიან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 16:29

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 25 მარტს, 16:32 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით